№ 225
კვირა, 15 ოქტომბერი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მ. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	6 25	2 . . .	2 75
7 . . .	7 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 225
კვირა, 15 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილის.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეორეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ქართველ ქალთა
სამკერვალო

18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჰრა კერვის კურსებზედ.

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფებითა და ნაჭრობით.

(50—5.—38) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

კვირას, 15 ოქტომბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დილის 11 საათზედ, მოხდება ქართულ-დრამატიულ საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრება

კრების საგნებია:

1, ანგარიში საზოგადოების წარსული წლის მოქმედებისა,

2, ანგარიში სარევიზიო კომისიისა,

3, გამგეობის მოხსენება ქართული თეატრის შენობის იჯარით აღების შესახებ,

4, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა,

5, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана**.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

ს. სალარიძე ასწავლის

ფრანგულ, იტალიანურ, გერმანულ და ინგლისურ ენებს.

ღარიბ მსურველთ აძლევს გაკვეთილებს 4—5 დე უსასყიდლოდ.

ჭავჭავაძის ქ. № 24. (7—205—2)

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი კ. კ. კესტერი 11 ოქტომბრიდგან ტფილისის საგუბერნიო სამართველოს რევიზიას შეუდგა. ბ-ნს კესტერს რევიზიისათვის დაენიშნა: მთავარ-მართებელთან მყოფი საგანგებო მინდობილობათა მოხელე თავ. მ. ა. კურაკინი, მთავარ-მართებლის კანცელარიის მოხელე ბ-ნი როშჩუპკინი, კავკასიის სამკურნალო ნაწილის სამმართველოს მინდობილებათა მკურნალი ბ-ნი იულსკი და ინჟენერი ბ-ნი ბუტენკო.

ფელეტონი

გზაში

ენკენისთვის პირველ რიცხვებში სოხუმიდგან ბათუმზე გავლით ქართლისკენ მომიხდა გამგზავრება. ბათუმის რკინის გზის საკმაოდ მოზრდილი და ფართო სადგური მოგზაურებით გატენილი იყო. ნამეტნავად ტევა არ არის ამ სადგურზედ მაშინ, როცა რუსეთიდგან ხალხის მატარებელი გემები შემოდიან. ხალხით ისე აივსება ეს ამოდენა სადგური, რომ შიგ ნემსსაც ვერ გააძვრენთ. მე და ჩემი თანამგზავრი სადგურზედ პირველ ზარის ჩამოკვრის შემდეგ მივედით ბილეთების საყიდლად, მაგრამ მოლარემ უარი გვითხრა: ბილეთს ვერ მოგყიდით, მეორე კლასის ვაგონი მთლად გატენილიაო. პირველი კლასიც ხალხით სავსეაო. ბევრი ხვეწნა-ვედრებისა და ღრეჯის შემდეგ ბილეთები გვაღირსეს და შევედით ვაგონში. მაგრამ რას ჰნახავ! ერთი მეორეზედ მაგრად მიკრული ადამიანები ფეხზედ იდგნენ, გავლა-გამოვლა და განძრევა ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩვენ კი ბალიშები წამოვიღეთ, რომ მთელ ღამეს მოსვენებით გვძინებოდა ვაგონში.

გზაში მოსაუბრე ადამიანს შორს არ გავურბი. პირ-იქით, ასეთს ადამიანს სუნით ვეძებ. ჩემი თანამგზავრი, ახალგაზდა ნიჭიერი ქართველი მწერალი ჩემს გვერდით იდგა და, აბა, რას დავაყენებდი. რასაკვირველია, უგნურ და უშნო მოსაუბრესთან მუსაიფი დროს დაკარგვა და წყლის ნაყვაა. ასეთ რეგვენთან მუსაიფს ისა სჯობიან, რომ საკუთარს ფიქრს მიეცე და გაჩუმებით იმოგზაურო შენთვის. მეტადრე თუ ფიქრის კაციც ხარ. მაგრამ კარგი ჭკვიანი მოსაუბრე სწორედ დიდი ბედნიერებაა გზაში. ჩემი მოსაუბრე სწორედ ასეთი გახლდათ.

— წიგნი ხომ არ წამოგიღიათ? მკითხა მან, როდესაც ლაპარაკით გავძეხით და გავჩუმდით.

— არა-მეთქი. ახლა ღამეა და, თვალების ტკივილებისა გამო, ღამით წიგნის კითხვა ლამპარზედ მკურნალისაგან აღკრძალული მაქვს და ამიტომ არც წამოვიღე თან წიგნი.

— ერთი რომელიმე სატახტო ქალაქის გაზეთი მაინც გამომყოლოდა ჯიბეში!

მე ხელი მივის-მოვისვი და ჯიბეში „Новое Обозрѣніе"-ს ნომერი ჩამრჩენოდა. მაშინვე მივაწოდე ჩემს მოსაუბრეს გაზეთი. მაგრამ არ გამომართვა: წაკითხული მაქვსო.

— ჰკითხულობ ხომ მაგ ახირებულ გაზეთს? ცოტა დამცინავის ღიმილით მკითხა.

— ვკითხულობ-მეთქი.

— მერე და არ გაუკვირვებიხარ იმ უნიჭოდ და უაზროდ დაწერილს მიმოხილვას, რომელიც მაგ გაზეთმა ჩვენ მწერლობას უძღვნა? შესანიშნავ სალიტერატურო მოვლენად და აღნიშვნის ღირსად მაგ გაზეთმა ცნობილ ტრეტიაკოვსკის—ჟორდანიას ნაჩხაპნი „პრესსა" სცნო. ბ-ნი ჟორდანია და პრესსაზე წერა! არა, რაღაც საშინელი დრო დადგა. კაცმა პრესსის შესახებ ამდენი ილაყბოს უგანაჩენოდ და უსისტემოდ, „საქართველოს მოამბიდგან" მოყოლებული დღევანდლამდე ქართულის პრესსის, ჩვენი მწერლობის თაობაზედ იქაქანოს, გაჭიანურებულად, უთავბოლოდ ილაქლაქოს და არსად არც ერთს ადგილას ერთი რამ ჭკუაში მოსასვლელი აზრი, ერთი ძლიერად გულის შემთოკებელი სიტყვა არ წასცდეს—ეს მხოლოდ და მარტო ბ-ნ ჟორდანიას შესძლებია, მართლაც, ჩვენში.

— როგორ, წერა არ შეუძლიან ბ-ნ ნ. ჟორდანიას თუ? შევეკითხე მე. ჩვენში ყველა ანბანის მცოდნე პოეტ-ბელეტრისტები და ლიტერატორები არიან და ჟორდანიას, ვაჟო, საშუალო სასწავლებელში მაინც უსწავლია, სადაც ანბანზედ მეტს რამე-რუმეს ცოდნას სძენენ.

— სწორედ „რამე რუმეს". ეგ კარგად სთქვი, აი. ჯერ ერთი, რომ იმ სასწავლებლისას, სადაც მას „რამე-რუმე" უსწავლია, ნუღარას მეტყვი, თუ ღმერთი გრწამს. სწორედ ეს სასწავლებელია, რომ მას თავს ჰრის. მეორეც ეს არის, სასწავლებელს, თუ გინდა, თავი დაანებე. წერის ნიჭი თუ არა გაქვს კაცს, სასწავლებელიც ვერას გიშველის და ათასიც რომ სწერო, მაინც უშინაარსო ფრაზების ზღვას და უაზრობას ვერ გასცილდები და მკითხველს ჭირივით თავს მოაბეზრებ. ნიჭიერი მწერალი-კი ყოველთვის საყვარელია. რატომ ჩვენი სახელ-განთქმული მწერლები არ აბეზრებენ თავს საზოგადოებას? პირიქით, საზოგადოება იმათზედ გაბრაზებულია, თუ იმათ, რაღაც მიზეზისა გამო, ხან-გამოშვებით წერა შესწყვიტეს. ეს ადვილი ასახსნელიც არის. ნიჭიერს მწერალს მკითხველი სუნით ეძებს და თუ ვერსად ნახა, დრტვინავს და ჟურნალ-გაზეთების კითხვაზედაც ხელს იღებს. მორჩა და გათავდა. რამდენია ისეთები, რომელნიც სიყრმიდგან სიბერემდე მწერლობენ, მაგრამ იმათ არა თუ აზრები ვერ მოუნელებიათ, ვერ შეუთვისებიათ იმ ენის ფორმებიც, გული და სული, ხასიათი და ბუნება, რომელზედაც გამუდმებით სწერენ. ვერ შეუმუშავებიათ წერის კილო და სტილი. და მაშ რაღა მწერლები არიან? განა ეს გარემოება უტყუარი ნიშანი არ არის იმათის გამოთაყვანებისა და სრულის უნიჭობისა? წაიკითხეთ „პრესსა" და ნათლად დაინახავთ ქართულის ენის გათახსირებას, რამდენი გარყვნა-გარაპრეხაა ქართულის სალიტერატურო ენისა გურულად, როგორც მაგალითად; „ჩემდა, თქვენდა, მისდა, რეზა" და სხ. რა უბედურებაა, ყოველმა პროვინციელმა უბირმა თუ ქართულის ენის ბუნების შეუსაბამო უმსგავსებანი შეიტანა ლიტერატურაში, რა უნდა ეშველოს ამით ქართულს ენას?! წარმატების მაგიერად ყოველის მხრიდგან გალატაკება და სრული განადგურება მოელის.

მე პროვინციალიზმის წინააღმდეგი არა ვარ. მე ვთხოულობ ლიტერატურაში მხოლოდ გონიერს პროვინციალიზმს, რომელიც არა თუ ეწინააღმდეგება ქართულის ენის საზოგადო ბუნებასა და თვისებას, მის გულსა და სულს, არამედ დამატებაა მისი. გონიერი პროვინციალიზმი-კი ის არის, რომ მწერალს მხოლოდ და მარტო ნება ეძლევა იხმაროს პროვინციაში გაგონილი, ლიტერატურაში ჯერ არ ხმარებული ახალი ცნება, ახალი ფრაზა, მაგრამ მწერალს მიუცილებლად აღკრძალული აქვს შემოიტანოს მწერლობაში ისეთი ფორმები თვით ფრაზეოლოგიისა, ანუ ისეთი ცნებანი, რომელნიც საუკუნოდ უარ-ჰყო ლიტერატურამ. უარ-ჰყო იმ ლიტერატურამ, რომელიც უაღრეს განვითარებამდე მიიყვანეს ქართლოსიანთა ერის სულ-მნათთა, როგორიც არიან ენის მეუფენი: შოთა რუსთაველი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე. ყოველი ქართველი მწერალი ვალდებულია კალამი ისე არ აიღოს ხელში წერისთვის, თუ ჯერ ზედ-მიწევნით და სავსებით შესწავლილი არა აქვს სალიტერატურო ენა, ამათ მიერ უკვე სავალდებულოდ შემუშავებული. უგუნურს, უმსგავსო პროვინციალიზმს უნდა ვებრძოლოთ მთელის ჩვენის

რევიზიის სამმართველოს ყველა განყოფილებას ერთად უშვრებიან.

⁂ 13 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ გრაკალიდგან შეცდომით გაუშვიათ ბათუმიდგან მომავალი სახალხო მატარებელი № 6, რადგანაც ჰგონებიათ, რომ ამავე დროს ტფილისიდგან მიმავალი საქონლის მატარებელი № 109 სადგურ კასპიდგან უკვე სადგურ გრაკალზედ მისულიყოს. მატარებლები სად. გრაკალიდგან 2 ვერსის მანძილზედ ერთმანეთს დასჯახებიან და რამდენიმე ვაგონი მთლად ერთიანად მილეწ-მოლეწილა. ამ უბედურების დროს 8—9 კაცამდე დახოცილა და 30-მდეც დაშავებულა თურმე. სხვათა შორის მძიმედ დაშავებულან და უკვე გარდაცვლილან: ობერ-კონდუქტორი ალექსანდრე გაბუნია და კონდუქტორები ბერძენიშვილი და დეკანოიძე. ღამითვე, 13 ოქტომბერს, საგანგებო მატარებლით წავიდნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი, სხვა მოხელენი და ექიმები დაშავებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. გუშინ დილით წაბრძანდა კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი.

⁂ შაბათს, 14 ოქტომბერს, ვერაზედ, ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტის მიერ შეძენილს ადგილზედ, ამ სკოლის ახალ შენობის საძირკველი ჩაჰყარეს და აკურთხეს. დაესწრნენ სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტის წევრნი და სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფენი მასწავლებლებითურთ, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. წერეთელი და სხვანი. შენობისათვის კარგა ძალი მასალაა მომზადებული და მუშაობასაც შეუდგნენ.

⁂ ხვალ, 16 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს სხდომაზედ განსახილველად დანიშნულია სულ 22 საქმე. ამათგან ზოგი ისეთი საქმეა, რომელთა განხილვის დროსაც საჭიროა 40 ხმოსანი დაესწროს. რამდენი ხანია ეს საქმეები ინიშნება განსახილველად, მაგრამ საკმაო რიცხვი ხმოსნებისა არ იკრიბება.

⁂ ქალაქის დედათა სახელოსნო სასწავლებელში შესვლა წარსულს სექტემბერში 91 ქალს უთხოვნია. ამათგან მიუღიათ მხოლოდ 50, დანარჩენთათვის-კი უარი უთქვამთ. ამის გამო სახელოსნოს დირექტრისას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ სახელოსნოს შტატი გაძლიერებულ იქმნას.

⁂ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს განკარგულება მოუხდენია, რომ სასულიერო დაწესებულებათა და მათ შორის საქართველოს საექსარხოსომაც სამრევლო-საეკკლესიო სკოლებზედ იმაზედ მეტი არ დაჰხარჯონ, რაც ხარჯთ აღრიცხვაშია აღნიშნული.

⁂ ქალაქის 1901 წლ. ხარჯთაღრიცხვით ქალაქის საპატიმროთა გასანათებლადა და გასათბობად 8,489 მან. გამოთხოვნილი, სამხედრო ბინების დასაქირავებლად 131,220 მან. (768 მან. მეტი), ქალაქის მოსაწყობად: ქალაქის ბაღებისა და სანერგეებისათვის—8,900 მან., ქუჩებში ხეების დასარგველად—1,760 მან. და კუკიის სატყეო საგარაკოსათვის—1,782 მან.

⁂ ქალაქის დედათა საპროფესიონალო სახელოსნოს მასწავლებელ ქალების შუამდგომლობა ჯამაგირების მომატების შესახებ აღნიშნულ სახელოსნოს დირექტრისასთვისვე გადაუციათ ამ საგნის შესახებ აზრის გამოსათქმელად.

⁂ ავლაბრის III სასწავლებლის გამგემ ქ-ნმა წულუკიძემ აცნობა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, რომ უფასო სკოლა შეიძლება მის გამგეობის ქვეშ მყოფ სასწავლებელთან იქმნეს გახსნილი. ამისა გამო კომისიამ ოფიციალურად შეატყობინა სახალხო სასწავლებლების ინსპექტორს, რომ მის მხრივ არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის, რომ ავლაბრის III სასწავლებელთან იქმნეს უფასო სკოლა.

⁂ დაბა ხობში (სოხუმის ოლქი) სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება არსდება.

⁂ ბათუმიდგან იწერებიან, რომ 11 ოქტომბერს ადგილობრივს ნავთსადგურში დაღუპულა ერთი ნავი და ოთხი მუშა. ნავში სულ 24 კაცი ყოფილა; ამათგან 20 გადარჩენა მოუსწვრიათ.

⁂ 22 სექტემბრიდგან 1 ლ ოქტომბრამდე ტფილისში 9 კაცი გამხდარა ავად სხვა-და-სხვა გადამდებ სენით; ამათგან: ხუნაგით—1, ქუნთრუშით—4, კუჭის სახადით—2, ყელჭირვებით—1 და ჭლექით—1 კაცი.

⁂ გუშინ, 14 ოქტომბერს, სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობას, რომელზედაც განიხილა ქალაქის სასწავლებელთა კომისიის დადგენილება ხარკოვის უნივერსიტეტში გრაფ ლორის-მელიქოვის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ; გამგეობამ, სასწავლებელთა კომისიის დადგენილების თანახმად, ეს სტიპენდია დაუნიშნა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს ევსტაფი ჯალამბეკოვს.

⁂ რედაქციამ მიიღო: 1, „ქართველ მაჰმადიანთა სახალხო ლექსები“, შეკრებილი ქართველ მაჰმადიანთ შორის და გამოცემული ზ. ჭიჭინაძის-მიერ. თავში წიგნს ქართული სურათიანი ანბანი აქვს. ეს ლექსთა კრებული მესამედ დაუბეჭდიათ გამომცემელს აზრადა აქვს წიგნაკი უსასყიდლოდ დაურიგოს ქართველ მაჰმადიანთ. გამომცემელი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იმ მაჰმადიანთ, ვისაც ამ წიგნის შეძენა ჰსურთ, გამომცემელს უნდა მიჰმართონ ტფილისში. 2, „ლექსები“, თქმული ქართველ მაჰმადიანის ხუსეინ ხაზბა ქამჯარაძის მიერ, ხოლო გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ. წიგნში სურათებიც არის მოთავსებული. ბოლოში ჩართული აქვს ხუსეინ ხაზბის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა და პატარა წერილი დასავლეთ საქართველოს ქართველთა გამაჰმადიანების შესახებ. წიგნს თავში მოთავსებული აქვს ქართული სურათებიანი ანბანიც. ხუსეინ ხაზბა ქართველ მაჰმადიანებში შესანიშნავ მელექსედ ითვლება და ზოგი მისი ლექსი ქართველ მაჰმადიანებმა ზეპირადაც იციან.

⁂ გომბორი. გომბორი წელს ვერაფერი მანუგეშებელი იყო მკვიდრთათვის: ჯერ იყო გამუდმებულმა წვიმებმა ყანები აბალახა და მიწაზედ გააკრა თავთავით. ისე რომ ერთი მეოთხედი თითქმის მინდორში დარჩა მოუმკელი; რაც მომკეს, ის დღესაც გაულეწავია უამინდობისა გამო და ბევრიც კალოზედ ალპება. შემდეგ თივა მოსთიბეს, მაგრამ ისიც წვიმამ დაულპო; თივა და კარტოფილი კი უმთავრესი ცხოვრების სახსარია გომბორელებისა გარედ გასატანად თუ შინ სახმარებლად. თივა ხომ მოთიბული წაუხდათ, კარტოფილიც მომეტებული სინესტისაგან მიწაში დაობდა და დალპა, ასე რომ ზოგს $^1/_2$ და ზოგს $^1/_4$ ძლივს მოუვიდა იმისი, რაც წინედ მოსდიოდათ.

გომბორში სამი ნახშირის საწვავი ქარხანაა, საიდგანაც დიდ-ძალ ნახშირს ეზიდებოდნენ გომბორელები ტფილისსა და თელავში, მაგრამ ეს ორი-სამი თვეა ეს გზაც შეკრული აქვთ, რადგანაც ეს ერთი ხანია საქონლის ჭირი მძვინვარებს აქა და ყოველ მხარეს „კარანტინა“ გამართული. ჭირმა დიდი ზარალი მიაყენა გომბორელებს: თითო ოჯახს 5-6 სული საქონელი მოუკლეს; სულ გომბორში 200-მდე სული საქონელი მოჰკლეს ბეითალებმა, რაც თავისი სიკვდილით მოკვდა, ის მეტია.

ბოლოს დროს აქეთ კარგი დარებია და, თუ ვის რამ დარჩა გარედ, ეხლა შეაქვს შინა.

ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ

II

ეს ერთი კვირაა, რაც მარსელში აბრეშუმის ჭიის პარკმა ფასი მოიმატა კილოზე 50 სანტიმი, ანუ ფუთზე რვა ფრანკი, რაც ჩვენს ფულზედ დაიჭერს სამ მანეთს. მოსალოდნელია, რომ ამის შემდეგ ფასები ძირს აღარ დაიწევს ახალ მოსავლამდე, თუ უცები რამ ცვლილება არ მოხდა სახელმწიფოთა შორის. ფასების მომატება-კი უფრო მოსალოდნელია. დღეს გამხმარი პარკი ერთი კილო (ფუთის მეთექვსმეტედი) ფასობს ცხრა ფრანკ ნახევრამდის. ფრანკი რომ შვიდ შაურ-ნახევარი ვიანგარიშოთ ჩვენს ფულზე, თექვსმეტჯერ შვიდ შაურ-ნახევარი შეადგენს ექვს მანეთს; ცხრაჯერ ექვსი მანეთი 54 მანეთია და ექვსის ნახევარიც რომ მივუმატოთ, მივიღებთ 57 მანეთს. ეს არის დღევანდელი ნომინალური, ანუ პირობითი ფასი პირველის ხარისხის პარკისა მარსელში. მეორე ხარისხის პარკი ამაზედ იაფია; სამი მანეთიდგან ვიდრე ექვს მანეთამდის. ას ფუთ პარკში, ჩვეულებრივად, პირველი ხარისხისა გამოდგება ნახევარი (50 ფუთი), მეორე ხარისხისა ოცდა-ათიდგან ორმოც პროცენტამდის (30—40 ფუთი), მესამე და მეოთხე ხარისხისა—დანარჩენი ათიდგან 20 პროცენტამდის (10—20 ფუთი), მესამე და მეოთხე ხარისხის პარკი ფასობს პირველისა და მეორის მესამედ ანუ ნახევარ ფასათ. ამ ანგარიშით, უკეთუ პირველი ხარისხის

ძალ-ღონით ლიტერატურაში, თორემ სწორედ სახიფათო და მტრების გულის გასახარებელი საქმე მოგვდის დღეს. ბ-ნ ჟორდანიას ენას ყურადღებას არ აქცევენ. მთელი ორგანო ხელში აქვს, მაშასადამე, ენის ბედიღბალი სახუმრო საქმეც არ არის. მხოლოდ მარტოდ მარტო ერთმა ბ-ნმა ფხამ მიაქცია ყურადღება „მოამბეში“ ამ გარემოებას და მოჰყავდა ურიცხვი მაგალითი ბ-ნ ჟორდანიას მიერ ქართულის სალიტერატურო ენის სრულ უცოდინარობისა. მას აქეთ ჟორდანია ამ მხრივ უარესს საქმეს თუ სჩადის, თორემ გასწორება არ ეტყობა... განა ასეთი ამბავი წასაყრუებელია?!

— ეგ მართალია. მაგრამ ვინ არის პატრონი, ვინ უნდა განიკითხოს ჩვენის სალიტერატურო ენის დიადი საქმე?

— ვინა და ჩვენ, ქართველებმა და ნამეტურ ქართველმა მწერლებმა, რომელნიც ამისთვის არიან მოწოდებულნი და არა ვიგინდარებმა, რომელნიც მწერლობას ჩემულობენ.

— თქვენ ხომ სთქვით, რომ ბ-ნ ჟორდანიას ერთი ცხოველს-მყოფელი აზრი, ძლიერი სიტყვა არ წასცდენიაო თვის „პრესსაში“. მე უფრო შორს წავალ. კაცი მთელის ორმოცის წლის ქართულ ჟურნალ-გაზეთების აღორძინების დიადს საქმეს შეეხოს და არსად ერთი სიტყვაც არა თქვას ამ ჟურნალ გაზეთების ვითარების შინა და გარე მიზეზებზედ, ერთი სიტყვა არ წასცდეს სადმე საზოგადოების, საერთო ცხოვრების პირობათა ევოლიუციაზედ, რომლის პირმშო შვილია თვით ეს „პრესსაც“, სწორედ გასაშტერებელია. დღეს გიმნაზიის მეორე კლასის მოსწავლემაც-კი იცის, რომ საგნის ფორმალურად, ზერელედ განხილვა ნამდვილი წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. დღეს თუ გინდა მწერლის სახელი დაიმსახურო, საჭიროა დალაგებული, დავაჟკაცებული, სამეცნიერო, ან წმინდა სალიტერატურო მსჯელობა, რომ საგანი და მოქმედება გაითვალისწინო. და ამისათვის-კი უნდა გაირჩეს და გაისინჯოს მთელი პირობა და მიზეზები საქმის ვითარებისა და ისე უსისხლ-ხორცოდ, სხოლასტიურად და განყენებით არ უნდა ნაყოს წყალი, როგორც ამას ბ-ნი ნ. ჟორდანია სჩადის. მაშინ, მხოლოდ მაშინ მიეცემა და დაედება განხილვასაც სერიოზული და საინტერესო ხასიათი. ისე კი ათასი იძახოთ საზოგადო, მოუნელებელი ფრაზები: „შრომა და კაპიტალი“, ბურჟუაზია, ექსპლოატაცია...

„ფეოდალიზმი განაცამტვერდა,
ბოლო მოეღო, დაეცა ერთად...
ფული გამეფდა; ფულმა ბაზარი,
ბაზარმა ფული დაიპატრონა...

„სოფელი გაქალაქდა და ქალაქი გაევანგულოვდა“, მაინც არაფერი არა გამოვა რა, ცალიერ სასაცილობისა, თუთიყუშობისა და გამოთაყვანების მეტი. კიდეც რომ დამტკიცდეს, რომ ჩვენი პრესსა და გოლიათივით შიგ გარეული ბ-ნი ილია ჭავჭავაძე ერთი თავზე ხელაღებული კონსერვატორობის განხორციელება იყოს და, როგორც ილია, ისე აკაკი და ნიკოლოზ ნიკოლაძე სდევნიდნენ სომხობას, როგორცა ერს და არა ებრძოდნენ მარტო კავკასიელ გამდიდრებულ სომხებს, რომელნიცა აზიურის საშინელის სიბინძურით წურბელაობენ და მთელ ქართლ-კახეთს მძიმე ტვირთად და ექსპლოატატორებად დასწოლიან კისერზედ, —მაინც და მაინც საჭიროა ხომ ერთის მაგალითის ჩვენება და ახსნა ამ მაგალითისაც. თორემ ყველასფერი ეს ერთი უშველებელი საზიზღარი ცილისწამება გამოდის. პირ-იქით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არც ერთი პრესსა, არც სომხური, არც პოლონური, არც რუსული ისეთი უწყინარი, ისეთი სიმპატიური და ნამდვილი ქრისტიანული კაცთ-მოყვარე და, თუ გნებავთ, ნამდვილად ბედოვლათად მოლიბერალე არ არის, როგორც ნორჩი ქართული ახალი მწერლობა წმინდა ეროვნულ კითხვათა შესახებ. არც ერთი ქართული ჟურნალი, არც ერთი ქართული გაზეთი არ წაბილწულა ჯერ, ღვთის მადლით, იმ სენით, რომელსაც „національная нетерпимость“-ს ეძახიან. მაშ საიდან შესთხზა ბ-ნმა ჟორდანიამ ასეთი საშინელი ცილისწამება მთელის ჩვენის მწერლობის, ნამეტურ ილიასა, აკაკისა და ნიკოლაძის მიმართ? ჩვენ ჟორდანიაზედ ნაკლებ არ ვიცნობთ, მგონია, ჩვენს ახალს მწერლობას და მისს დედა-ბოძთ და ვთხოვთ მაგალითები დაგვისახელოს, მაგალითების ჩვენებით ილაპარაკოს, თორემ, იცოდეს, სამფეხაზედ წამოჯგიმულ პითიას როშვისათვის ჩვენ დიდი სკეპტიკები ვართ.

— მართლა, ეგ კარგი მომაგონდა, ეგ „національная нетерпимость“-ი! გახსოვს, იმავე „Новое Обозрѣніе“-მ ამ „ნეტერპიმოსტის“ სახელწოდებით როგორ ერთის კალმის მოსმით აუგო ანდერძი ამ უკანასკნელ დროის ერთს შესანიშნავს ბელეტრისტულ ნაწარმოებს: „ნავარდობას“?

— მე არ გამკვირვებია „Новое обозрѣніе“-ს მხრივ ასეთი საქციელი. იგი „ნორდარაკანების“ რუსული განყოფილებაა ტფილისში და ერთიანად „ნავარდობაში“ ცოცხლად დახატული გმირების მომხრეა. საკვირველი ის არის, რომ მსგავსივე აზრი გამოსთქვა („Новое Обозрѣніе“-მ ჩვეულებრივ მხოლოდ სხვისი აზრი განიმეორა) ორმა „კრიტიკოსმა“(?!) ქართულს ჟურნალ-გაზეთებში. ერთი ბრძანდება თავ. კიტა აბაშიძე (იხილე ამ წლის „მოამბე“), მეორე—ბ-ნი ივ. გომართელი (იხ. ამავე წლის „კვალი“. „კვალის“ კრიტიკოსმა მეორე შესანიშნავი ბელეტრისტი დ. კლდიაშვილიც უსაბუთოდ გამოლანძღა!) ორივე „კრიტიკოსებმა“ სამარცხვინო ბოძზედ გააკრეს საცოდავი გულ-მართალი ავტორი „ნავარდობისა“ და თითონკი ამავე ბოძის წინ ერთი უშველებელი ჩაბუქნეს. ამ ვაჟბატონებს კრიტიკოსობის საღერღელი დიდი აქვთ აშლილი, მაგრამ ცალიერმა მადამ რა უნდა გააწყოს...

საქმე ის არის, რომ არც ერთი ამათგანი თავიანთ აზრს არ ასაბუთებს. ისე, სთქვეს რაღა და... ჩაიარეს. თავიანთ დაფარულ, დიდ საიდუმლოებად შენახულ აზრების გამჟღავნებას ჩვენ, უბრალო მომაკვდავთ, როგორ გვაღირსებენ! კრიტიკაც სწორედ ასეთი ნისლით დაბურული უნდა! არც ერთი ამათგანი ქართლ-კახეთს ვერ იცნობს და მხოლოდ შემთხვევით მოგზაურივით რკინის გზის მატარებლით თუ ჩაუსეირნიათ ქუთაისიდგან ტფილისამდე. ტფილისს არ გასცილებია იმათი ფეხი და, რა თქმა უნდა, ვერ იცნობენ მთელის აღმოსავლეთის საქართველოს არა თუ დაბა-სოფლებს, არამედ პროვინციალურს ქალაქებსაც და აი, ჩვენის გატიალებულ ცხოვრების ასეთნი უვიცნი სჯიან სწორედ იმ ნაწარმოებს, რომელშიაც ერთი უშველებელი ძირითადი უკუღმართობაა ამ ცხოვრებისა აწერილი და დახატული გასაცვიფრებელის ცოდნით, დაკვირვებით და ინტერესით. განა შეუძლიანთ ამ ვაჟბატონებს მთელის სიღრმე-სიგანით, მთელის შინაარსით გაითვალისწინონ და წარმოიდგინონ „ნავარდობაში“ და-

პარკი მთელისას მარტო ნახევარს შეადგენს (ეს უკანასკნელია) და ფასებიც არ აღემატება პირველი ხარისხისათვის 57 მანეთს, ხოლო მეორისათვის 51 მანეთსა და დანარჩენებისათვის ამის ნახევარს (25 მანეთს),—ასს ფუთ პარკში თითოეულს საშუალოდ მოუჭრის 53 მანეთამდის.

ეს არის დღევანდელი საშუალო პირობითი ფასი ჩვენებურის პარკისა მარსელში. მაგრამ იგი არ არის გადაჭრილი, ანუ დაბოლოვებითი ფასი. ამ ფასის ასე თუ ისე შეცვლა შეუძლიან იმ გარემოებას, თუ როგორი გამოსავალი ექმნება პარკს, როცა გასინჯავენ და ძაფად ამოახვევენ. ეს ფასი შეუცვლელი დარჩება, უკეთუ ოთხი კილო პარკისაგან ერთი კილო ხასი ძაფი ამოიხვევა. პირობაც ამაში მდგომარეობს. და ეს ფასი შეიცვლება პარკის გამყიდველის სასარგებლოდ, უკეთუ ოთხი კილო პარკი არ მოუნდა ერთ კილო ძაფის ამოსახვევად. ეს ასეც ხდება, რადგან ჩვენებურ პარკს მარსელში სახელი აქვს განთქმული ძაფის სიბარაქით. მყიდველისათვისაც სახეიროა, როცა შედარებით ცოტა პარკიდგან მეტს ძაფს მიიღებს. ამას მუშაობაც ნაკლები ეჭირვება. საზოგადოდ ჩვენი I ხარისხის პარკი სამი კილო და ნახევარი იძლევა ერთ კილო ძაფს, ხოლო II ხარისხის პარკისა სამი და ორი მესამედი კილო—ერთ კილო ძაფს. ამის კვალობაზედ ზევით მოხსენებული საშუალო პირობითი ფასი მატულობს ოთხიდგან ხუთ მანეთამდის. ეს გამონაგარიშება, რასაკვირველია, დაახლოვებითია. შეიძლება მეტი ფასიც მოუვიდეს პარკს და ნაკლებიც. ეს არის მხოლოდ დამოკიდებული მისს ბუნებითს ღირსებებსა და მერმე მოვლა-შენახვაზე, გამოხარშვაზე და სხვა.

ჩვენებური პარკის პატრონები მარსელში პარკის ფასების ძირს დაწევამ ერთობ შეაშინა, ასე რომ ბევრს მათგანს სრულიად დავთრები აურია და პარკი ზარალით გააყიდვინა... მაგრამ ამაზე შემდეგისათვის დარჩეს.

ნ. წ.

მ. თამარაშვილის ისტორიული შრომის შესახებ.

ქართულს გაზეთებში ამ უკანასკნელს დროს გამოცხადებული იყო, რომ მ. მიხეილ თამარაშვილმა ქ. რომში შეჰკრიბა ძვირფასი მასალა საქართველოს ისტორიის შესასწავლად და ამზადებს მას დასაბეჭდად. რადგანაც პატივცემულ მშრომელის ნაწერი მეც გადამითვალიერებია, ამისათვის მსურს მკითხველს გავუზიარო ორიოდე ჩემი შთაბეჭდილება მ. თამარაშვილის ისტორიულ მასალების შესახებ. მ. თამარაშვილი თითქმის ათი წელიწადია, თუ არა ვცდები, რომში დასახლდა. აქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ლათინური, ფრანგული და იტალიანური ენები, მიიღო უმაღლესი საღვთის-მეტყველო სწავლა და დაჯილდოვებულ იქმნა დოქტორის სამეცნიერო ხარისხით. ამ შრომისა და ცნობის მოყვარეობასთან მ. თამარაშვილმა გამოიჩინა დიდი უნარი და სიყვარული სამშობლოს ისტორიის შემუშავებისა. იმის უმთავრესი აზრი იყო შეეკრიბა მასალა ქართველ-კათოლიკეთა შესახებ და დაემტკიცებინა სიყალბე ამ საკითხის ცრუ-გამომკვლეველთა; იგი ამასთანავე არა სტოვებდა უყურადღებოდ სხვა ისტორიულს საბუთებსაც და ერთგულად ჰკრებდა, იწერდა, სთარგმნიდა სხვა-და-სხვა ხელთნაწერთ, საარხივო, ძნელად მისაწდომ წყაროებიდგან. ეს ხანგრძლივი და დიდს ხარჯთან დაკავშირებული შრომა ამ ჟამად თითქმის მზად არის. მკითხველს უკვირს არამც თუ ძვირფასის, აქამდის უცნობის მასალის შემოკრება, არამედ უფრო მეტად ამ მასალის სისტემაზედ დაწყობა, კრიტიკულად განხილვა, ჭეშმარიტების თვალ-საჩინოდ გამოქვეყნება. საგულისხმოა, რომ პატივცემულმა მ. თამარაშვილმა დაგვიმტკიცა, რა შეუძლიან ერთს, ხელ-მოკლე, ქონებრივად შევიწროებულს მოღვაწეს, როცა იგი მეცნიერულის აზრით არის განმსჭვალული. მ. თამარაშვილის შრომას ისეთი შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ისტორიისათვის, რომ ქართველმა საზოგადოებამ უნდა იკისროს ქონებრივი საშუალება ამ ძვირფასი შრომის აღსაბეჭდად. მ. თამარაშვილმა შესწირა სამშობლოს საქმეს არამც თუ შრომა, არამედ ზნეობრივი და ქონებრივი ძალ-ღონეც. ახლა ჩვენი აუცილებელი მოვალეობაა დავაჯილდოვოთ ეს ღირს-შესანიშნავი მოღვაწე, გზა გაუხსნათ იმის ნაწერს მკითხველისაკენ, რათა საისტორიო ჭეშმარიტებას კანონიერი სიმტკიცე მიეცეს ჩვენსა და უცხო საზოგადოებაში.

ა. ხახანაშვილი

რუსეთი

საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მიმდინარე წლის დამლევს სამინისტრო გამგეობის ქვეშ მყოფ სამრეწველო სასწავლებლების მასწავლებელთა და უფროსთა კრება მოიწვიოს.

— მთავრობას, როგორც მოგეხსენებათ, განზრახვა ჰქონდა რკინის გზით მოგზაურთა ბილეთებზედ ახალი თითო-შაურიანი გარდასახადი შემოეღო წითელის ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ. ახლა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მთავრობას ეს განზრახვა სრულიად უარ-უყვია, რადგანაც მისი შესრულება უხერხულად უცვნია.

— კიევის იურიდიულს საზოგადოებას თავისს უკანასკნელს კრებაზედ სენატორი ა. თ. კონი საპატიო წევრად ამოურჩევია.

— ამხანაგობას „Общественная Польза“-ს გარდაუწყვეტია ა. თ. ვოლკოვისა და ი. დ. ფილიპოვის უფროს რედაქტორობით „იურიდიულ და საეკონომიო მეცნიერებათა საენციკლოპედიო ლექსიკონი“ გამოსცეს: აღნიშნულს ლექსიკონში მოთავსებული იქმნება ყველა ის მეცნიერება, რომელსაც რუსეთის უნივერსიტეტების იურიდიულს ფაკულტეტებზედ გადიან. სხვა-და სხვა განყოფილების რედაქტორებათ დანიშნულნი არიან: ს. მ. ბარაცი, ი. ს. გამბაროვი, ა. ქ. გალმსტონი, გ. ა. ლებედევი, ა. ი. პეტრაჟიცკი, ვ. ი. სერგეევიჩი, ი. ი. ფოინიცკი და სხ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ განზრახულ სარძეო მეურნეობის ინსტიტუტის უფროსად ა. ა. ქალანთარს თურმე ნიშნავენ.

— უწმიდესს სინოდს გარდაუწყვეტნია ეკკლესიებში სახმარებელ ღვინოებისათვის განსაკუთრებული ღვინის დასაყენებელი მარანი გამართოს სამხრეთ რუსეთში სადმე და ისე მოაწყოს საქმე, რომ საეკკლესიო ღვინოები მხოლოდ საგანგებო საეკკლესიო სარდაფებში იყიდებოდეს.

უცხოეთი

ჩინეთი. ვენის გაზეთ „Polit. Corresp.“-ში იბეჭდება ამ ჟამად საყურადღებო წერილები პეკინში ავსტრიაუნგრეთის რწმუნებულად ნამყოფის ფონ-როსტგორნისა. ფონ-როსტგორნი არეულობის დროს სხვა ელჩებთან ერთად პეკინში მოჰყვა და ამიტომ დაწვრილებით აქვს აღწერილი არეულობანი და ყველა ის, რაც უცხო-ქვეყნელთა გამოიარეს.

„მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტამ რკინის გზაზედ პეკინსა და ტიანძინს შუა,—სწერს ფონ-როსტგორნი,—დიდს ფიქრსა და საგონებელში ჩააგდო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. 4 ივნისს სხდომაზედ ელჩებმა გადასწყვიტეს დეპეშით მიჰმართონ თავიანთ მთავრობებს და სთხოვონ, ჩინეთის ზღვაში მყოფ სახელმწიფოთა ესკადრების უფროსებს ნება მიეცეთ ენერგიული ზომები მიიღონ იმ შემთხვევისათვის, თუ პეკინს მეამბოხეთ ალყა შემოარტყეს. ამასთან ელჩებმა დაადგინეს აუდიენცია მოსთხოვონ ქვრივ იმპერატრიცას და ამ აუდიენციაზედ მოელაპარაკონ. აცნობეს თუ არა ელჩებმა ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება ძუნგ-ლი-იამენს, მეორე დღესვე ამ დაწესებულებისგან ამბავი მოვიდა, აუდიენცია საჭირო არ არის, რადგანაც გზა 9-მდე შეკეთებული იქმნება და ამ მეამბოხეთა გასადევნადაც გენერალი ნიე იქმნა გაგზავნილიო.

„ელჩებმა ამ პასუხის გამო გადასწყვიტეს 9 ივნისამდე მოიცადონ. იმ დროს ელჩებს ჯერ კიდევ სჯეროდათ ძუნგ-ლი-იამენის სიტყვები. მალე სანუგეშო ამბავიც მოვიდა: გენერალმა ნიემ ერთ სადგურთან მართლაც დაამარცხა და განდევნა მოკრივენი. მაგრამ არ გასულა ბევრი ხანი, რომ ამ სანუგეშოს უნუგეშო ამბავიც მოჰყვა: მთავრობის ბრძანებით ნიე გადაყენებულ იქმნა იმ მიზეზით, რომ ამ გენერალმა მოკრივეთა წინააღმდეგ იარაღი იხმარაო. მთავრობის ასეთმა საქციელმა ფრთა შეასხა მეამბოხეთ. ყოველდღე ამბავი მოდიოდა, რომ მეამბოხეთ გადასწვეს ქრისტიანეთა სოფელი, ამოსწყვიტეს უცხო-ქვეყნელნი და ქრის-

---

ხატულ გმირების საქციელი, მათი ზნე ხასიათი, ფსიხოლოგია და ის არსებითი მიზეზებიც, რომელნიც ქართლ-კახეთში ყოველ დღიურ ცხოვრების სინამდვილესთან არის დაკავშირებულნი... არ მოეწონათ ამათ სომეხ ექსპლოატატორებსა და კახელი ხალხის შვილებს შორის ამტყდარ ანტაგონიზმის, ეკონომიური ბრძოლის ნამდვილი დახატვა და უკუდო, მეტიჩარა ლიბერალიზმის პირ-ქვე დამხობა და ნაწარმოები ერთის კალმის მოსმით დაჰგმეს. მეტი ბავშობა გაგონილა კიდევ სადმე? კაცმა თუ არ იცი ცხოვრების ამბავისა არაფერი, რაღას ტიტინებ, გაჩუმება არა სჯობიან, ძალას ვინ გატანს? მაინცა და მაინც კუდაბზიკობა თავისას შვრება და,აი,თავ.კიტა აბაშიძის ნათქვამი რა ლამაზად და მზაკვრულად სავსებით გაიმეორეს „ნაროდარაკანების“ ორგანოში. „Новое Обозрѣніе“-დგან დაწყებული ჩვენებურ მყვირალა და გამოლაყებულ „მესამე დასელებამდე“ ამ უსუსურობას გაიძახიან, იმასაც კი ამბობენ, სომხებსა და ქართველებს შორის ამტყდარი ანტაგონიზმი ვითომც ბ ნ ველიჩკოს მოგონილი იყოს და უნდათ დაჰფარონ და გადაეფაფხონ იმ სოციალურს მოვლენას, რომელიც მწარე ცხოვრების ქარ-ცეცხლს წარმოუშობავს დღეს საქართველოშიაც. ქართლ-კახეთში გაბატონებულ სომხებს და ქართველის ერის თავად-აზნაურთა, გლეხთა და ვაჭართა შორის რომ იდილიური განწყობილება აღარ არის, არამედ სასიკვდილო-სასიცოცხლო ბრძოლა არის თვალ-საჩინოდ დაწყებული, ამას ვეღარ დაჰფარავს ვერც „Новое Обозрѣніе“ ბ ვეღარც სხვა ვინმე. რაც არის, არის. ტყუილად ჰღვრიან ისინი ნიანგის ცრემლებს და გაიძახიან: თანხმობით, ძმურად მოქმედება გვინდაო. თანხმობისა და ძმობის წინააღმდეგი, აბა, ვინ არის, დამისახელეთ ერთი ქართველი მწერალი ვინმე. თანხმობა და ძმობა მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ქართველის ერის რეალური უფლებანი და ინტერესები არ იქნებიან შელახულნი და ფეხ-ქვეშ გათელილნი. ილია ჭავჭავაძე, აკაკი და განსაკუთრებით ჩვენი სახელოვანი პუბლიცისტი ნიკოლოოზ ნიკოლაძე „Новое Обозрѣніе“-სთან ბრძოლაში სწორედ ამ წმინდა უფლებათა და ინტერესების გულისთვის იბრძვიან გამწარებით და სასტიკად და ჩვენ კიდევ სინიდისი ნებას გვაძლევს, ცილის-წამება-ინსინუაციებით და დაგმობით გულს ვუკლავდეთ ამ ჩვენს მოღვაწეებს და ვდევნიდეთ...

ბ-ნი მელანია პირველია ჩვენს ბელეტრისტთა შორის, რომელიც შეეხო ამ საჭირ-ბოროტო საგანს და, როგორც ჰხედავთ, ეხლავე ქარიშხალი ასტეხა ჟურნალ-გაზეთებში. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. იმედია, ქართლ-კახეთის ნიჭიერი ბელეტრისტები, რომელნიც აქამდის რუსეთელ „ნაროდნიკების“ წაბაძვით მხოლოდ და მარტო დაბეჩავებულ გლეხთა კუთხე-ყურეს, გაქნილ, გაიძვერა სოფლის მწერლებს და მოხელეებს, მღვდლებსა და მასწავლებლებს უკირკიტებდნენ, ამიერიდგან გააფართოებენ წერის ფარგალს და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხის ეკონომიურად დაცემის და განადგურების, ცხოვრების სოციალურის მხარის ღრმად შესწავლას და დახატვას შეუდგებიან ისე სერიოზულად და დაფიქრებით, როგორც ეს „ნავარდობის“ ავტორმა მოახერხა. აი, მხოლოდ მაშინ დაედება ფასი ჩვენს ლიტერატურას, მხოლოდ მაშინ აღძრავს იგი მკითხველთა შორის დიდს ინტერესს და ჩვენი ლიტერატურაც გაუთანასწორდება პოლონეთისა და სომხეთის ლიტერატურას...

— მაგას მართალს ამბობთ, ვუპასუხე მე. მაგ ორ დასახელებულ ერის ლიტერატურაში საერო პრინციპები დიდის შეგნებით არის გატარებული და უაღრეს წერტილამდე აყვანილი. ქართული ლიტერატურა მათთან შედარებით, მართალი უნდა ითქვას, დღეს მხოლოდ უსუსურთა, ბალღთა ნაწარმოები გგონია კაცს.

— მე ფაქტს აღვიარებ და შენ, რაც გინდა, ის დაასკვენი. ჩვენს ნორჩს ლიტერატურას გინდა უსუსურობა დაარქვი, გინდა ნოლი მოუწერე ბოლოში...

— ეგ ყველა, მაგრამ ეს „მესამე დასელები“ კიდევ რაღა ჯანაბის მატლად გაუჩნდნენ ჩვენს მწერლობას! ამ ამბავს არ დაუფიქრებიხართ?

— „მესამე დასელები“ განსვენებულს გიორგი წერეთელს „საქმისთვის“ დასჭირდა და „კვალის“ რედაქციაში ჯერ პირველად სათვალისეიროდ გამოაფინა, რომ მკითხველები პარიჟის გამოფენასავით ამ ახალის სანახაობით დაინტერესებულიყვნენ და, მერე, რაკი გიორგი მოუძლურდა და ძველი ნიჭიერი თანამშრომელნიც შემოეფანტნენ, „კვალი“ თავის-თავად ამ „დასელებს“ ჩაუვარდათ ხელში და ხომ იცი:

„ყვავი რა ვარდსა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია“...

გიორგი წერეთელს რომ არ გამოეძებნა, ესენი სადღაც გაჰქრებოდნენ, რკინის გზებზედ ზოგი კონდუქტორად და „მებუტკეებად“ დადგებოდა, ზოგი ქალაქისა და ბაქოს სასტუმრო-რესტორანებში ლაქიებად შევიდოდნენ, ზოგი სად წავიდოდა და ზოგი სად და ჩვენს მწერლობასაც ასცდებოდა ეს განსაცდელი. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მალე მაგათაც ბოლო მოეღება. ხომ გახსოვს, ამას წინად ბ-ნმა ვ. წ.-მა ერთის დაკვრით როგორ გაანადგურა მათი ბანაკი. ბ-ნი ჟორდანია, სწორედ ის ჟორდანია, რომელიც ბ ნ ახალმოსულს სასაცილოდ ექაჩებოდა და ბაქი-ბუქობდა: „აი, აქა ვდგევარ მე შენს პირდაპირ, ფარდა აიხადე, ფსევდონიმებს ნუ ამოფარებიხარო“ და სხვა, ეს ჟორდანიამეთქი როგორ სამარცხვინოდ გაქცა ბ-ნ ვ. წ. ბრძოლის ველიდგან. ერთი კი წამოიყრანტალა საცოდავად, მაგრამ იფიქრა: ამ დაწყევლილს საეკონომიო კითხვებში მე ხომ არა გამეგება-რა და ამიტომაც არაფერსაც ვწერ, გარდა საზოგადო შაბლონურ ფრაზებისა, და ვ. წ. კამათს ისევ „გაცლა სჯობსო“ და, მართლაც, ნამდვილ გურულად... „გაშპა“ სადღაც. მას მიეშველნენ მისი დამქაშები, ვიღაც X-ები და წულუკიძეები, მაგრამ ამათ მხოლოდ ის დაამტკიცეს, რომ სიტყვების: „შრომა და კაპიტალი“-ს გამუდმებით ყვირილი დიდი სცოდნიათ ჟორდანიასავით, საკამათო საგნები-კი ოსტატურად მიაფუჩეჩეს და სერიოზული სალიტერატურო და სამეცნიერო კამათისა ინჩიც არ გაეგებათ. მე მგონია, დადგა მესამე დასელების სულის ლაფვის უკანასკნელი ჟამი და ნოემბრის ბუზებივით დღე-ნაკლულნი იმიტომ იკბინებიან ასე...

— მე-კი მგონია, რომ მაგათ მაინც არაფრისა არ შერცხვებათ და მწერლობას ძალით მაცხონესავით არ მოეშვებიან. ნამეტურ თუ გარემოებამაც ხელი შეუწყო. რაღაც დროც რომ ისეთია...

ჩემმა თანამოსაუბრემ დაეჭვებულის კაცის ღიმილით გადმომხედა და გაჩუმდა. გავჩუმდი მეც. საათს დავხედე. ღამის ორი საათი იყო. რაღაც დიდი დაღლილობა ვიგრძენ და მჯდომარეს... ჩამძინებოდა.

Homo novus

ტიანწინით. ელჩების თვალის ასახვევად იმპერატრიცამ 5 ივნისს ახალი ბრძანება გამოსცა, ვითომდა მოკრივეთა ასალაგმავად. მაგრამ მოკრივეებმა კარგად იცოდნენ, რომ მთავრობა იმათ მხარეს იყო, ამიტომ ამ ბრძანებას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს.

„9 ივნისს ელჩები ხელ-ახლა შეიკრიბნენ. ბევრის თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, სანამ ტელეგრაფი მუშაობს, შეატყობინონ ადმირალებს თავიანთი გაჭირვება და სთხოვონ რამე ზომების მიღება. ასე გადასწყვიტეს ელჩებმა, მაგრამ იმავე დღეს ხმა გავრცელდა, რომ იმპერატრიცა საზაფხულო სასახლეში გადასახლდა, წასვლის დროს იმპერატრიცამ გენერალს ტუნფუ შინს დაავალა უცხო-ქვეყნელთა ამოწყვეტაო. ელჩებმა შეამოწმეს ეს ხმები და დარწმუნდნენ, რომ ჩინელებს რაღაც საკეთილო არ განუზრახავთ. ამიტომ დეპეშა გაგზავნეს ადმირალებთან და დახმარება სთხოვეს. მესამე თუ მეორე დღეს ამბავი მოვიდა ტიან-ძინიდგან სეიმურის მოსაშველებელ ჯარის გამოსვლის შესახებ. 10 ივნისს საელჩოებს ჩინელები დაეცნენ; ამ დღიდგან ევროპიელნი სრულიად მოსწყდნენ დანარჩენ ქვეყანას“.

— შანჰაელი კორესპონდენტი „Frank Zeitung“-ისა დეპეშით ატყობინებს გაზეთს: „ტიან-ძინიდგან იუწყებიან, რომ აქედგან ამას წინად ექსპედიცია გაჰგზავნეს იმ ადგილისაკენ, სადაც ქვრივი იმპერატრიცა იმალებაო. ექსპედიცია რუსებისა და გერმანელებისაგან შესდგება. ამბობენ, ლიხუნგჩანგმა შეატყობინა მოკავშირეთა ჯარის უფროსს იმ ადგილის სახელი, სადაც იმპერატრიცა სცხოვრობსო“.

— ერთ რუსულ გაზეთში, „Могил. губ. Вѣд.“-ში, აწერილია ის გაჭირვება, რაც ბლაგოვეშჩენსკში მცხოვრებმა ჩინელებმა გამოიარეს მაშინ, როდესაც იმათმა თანამემამულეებმა სროლა დაუწყეს ამურის მეორე ნაპირიდგან რუსების ქალაქს. „3 ივლისს პოლიციამ თავი მოუყარა ყველა ჩინელებს. შემდეგ მთელი ბრბო, როგორც ცხვრები, მდინარე ამურისაკენ დარეკეს. ჩინელები მდინარის მეორე ნაპირზედ უნდა გადასულიყვნენ, მაგრამ რადგანაც მენავეებმა უარი განაცხადეს, წინადადება მისცეს ჩინელებს ცურვით გასულიყვნენ. ჩინელნი დათანხმდნენ, შევიდნენ წყალში, მაგრამ მეორე ნაპირს მცირე ნაწილმა გააღწია, დანარჩენნი წყალში დაირჩვნენ. ბლაგოვეშჩენსკში რაღაც სასწაულით სიკვდილს მხოლოდ ორი ჩინელი გადარჩა. ერთმა მათგანმა, იუნხაზანმა, ამბობენ, 1892 წლის მოუსავლობის დროს რუსეთის დამშეულთ 25,000 მანეთი შესწირაო. ჩინელთა ქონება ბლაგოვეშჩენსკში სულ ერთიან დაიტაცეს, სახლები დაძარცვეს და დააქციეს“.

ინგლისი და გერმანია. როგორც დეპეშებიდგან უკვე გაიგებდნენ მკითხველები, ინგლისმა და გერმანიამ ერთმანეთში ხელშეკრულება დასდეს ჩინეთის საქმეებისა გამო. დეპეშებმა არ გვაცნობეს შინაარსი ამ ხელშეკრულებისა. ეხლა გაზეთები ცოტა რამეს გადმოგვცემენ ამის შესახებ. როგორც ვიცით, დღეს სახელმწიფოებს ერთნაირად არ შეუძლიათ ჩინეთის ყველა ნაწილში ვაჭრობა. ჩინეთი ამ მხრივ დიდ სახელმწიფოთა შორის არის დანაწილებული. თვითეულ სახელმწიფოს მხოლოდ თავის ნაწილში შეუძლიან ვაჭრობა და სხვას არა აქვს ნება საქონელი შეიტანოს იქ. ინგლისს მდინარე იან-ძე-კიანგის მიდამოები აქვს მითვისებული, გერმანიას — შანდუნის პროვინცია, საფრანგეთს-სამხრეთით მდებარე პროვინციები, რუსეთს—მანჯურია. ახალის ხელშეკრულებით ინგლისსა და გერმანიას აზრადა აქვთ ეს თვით კერძოობა გააუქმონ. ამ ორ სახელმწიფოს ერთმანეთში პირობა დაუდვიათ, როგორც თვითონ, აგრეთვე სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომთ ერთნაირად შეეძლოთ იმ პროვინციებში ვაჭრობა, რომელნიც ამათ გავლენას ემორჩილებიან. დასდვეს რა ერთმანეთში ასეთი პირობა, ინგლისმა და გერმანიამ სხვა სახელმწიფოებს მიჰმართეს და სთხოვეს, ისინიც მიემხრონ, მათაც თავიანთი ადგილების კარები გაუღონ სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ. ამ რიგად ინგლის-გერმანიის პროექტს ერთი აზრი აქვს — მთელ ჩინეთში ყველას, ეროვნების განურჩევლად, ერთნაირად შეეძლოს ვაჭრობა. საეჭვოა, რომ ამ პროექტს ყველა სახელმწიფო მიემხროს. ჩინეთში რომ ყველას ერთნაირად მიეცეს ვაჭრობის ნება, მაშინ, რასაკვირველია, ინგლისი და გერმანია, სადაც უფრო განვითარებულია ვაჭრობა-მრეწველობა, დანარჩენთ სრულიად განდევნიან და მთელს ბაზარს ჩინეთში თვით დაინარჩუნებენ. რუსები, მაგალითად, ვერავითარ მეტოქეობას ვერ გაუწევენ ინგლისელებსა და გერმანელებს და იძულებული იქმნებიან ჩინეთში ვაჭრობას სრულიად თავი მიანებონ. ამიტომ, რუსულის გაზეთების აზრით, რუსეთი ამ პროექტს არ მიემხრობა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

პეკინის არეულობის დროს ერთად-ერთი ესპანიის საელჩო არ დაზარალებულა. ამ საელჩოსთვის ჩინელებს ხელი არ უხლიათ. ქვრივი იმპერატრიცა წინადაც ყველაზედ მეტად ესპანიას თანაუგრძნობდა, უთუოდ ინსტიქტი ეუბნებოდა, რომ ეს სახელმწიფო ბევრითა ჰგავს ჩინეთს, რომ იქაც ისეა აწეწილ-დაწეწილი საქმეები, როგორც ჩინეთში. მართლაცა და ამ მხრით ესპანია ძალიანა ჰგავს ჩინეთს. აი რამდენიმე მაგალითიც. 1885 წელს ესპანიაში ხოლერა გაჩნდა. მთავრობამ კარგა ბლომად გადასდო ფული ამ სენთან საბრძოლველად. როდესაც ხოლერა მოისპო, მთავრობამ განსაკუთრებული კომისია დანიშნა ანგარიშის მოსახდენად და იმის გასაგებად, რა დაიხარჯა და რა არა ხოლერაზედ. კომისია შესდგებოდა: თავმჯდომარისა, რომელსაც 1000 მანეთი დაენიშნა, პირველის წევრისა—875 მან., სამის მოხელის მეორე ხარისხისა—თითოს 750 მან., ექვსის მოხელის მესამე ხარისხისა—თითოს 625 მან., ხუთის მოხელის მეოთხე ხარისხისა—თითოს 500 მან., ხუთის მოხელის მეხუთე ხარისხისა—375 მან., ხუთის მწერლისა—310 და 9 სხვა მწერლისაგან—თითოს 250 მანეთი დაენიშნა. აი ეს კომისია ცამეტი წელიწადი მუშაობს და დღესაც მას თავისი მოხსენება არ წარუდგენია მთავრობისთვის. კომისიას სიცოცხლე მხოლოდ ჯამაგირის მიღების დროს ეტყობა. სულ ამ ცამეტის წლის განმავლობაში კომისიას ჯამაგირად მიუღია 203,310 მანეთი, ის თანხა-კი, რომლის გამორკვევაც კომისიას მიენდო, მხოლოდ 125.000 მანეთისაგან შესდგებოდა. სხვა საქმეებშიაც ასეთ მუყაითობას იჩენენ ესპანელები. ამ 12 წლის წინად ერთი სამხედრო გემის კეთებას შეუდგნენ, გემი-კი დღესაც არ არის მზად. ამას წინად საეგზამენაციო კომისია დანიშნეს, რომელსაც ერთის საკომერციო სასწავლებლისათვის მასწავლებელი უნდა აერჩია. 18 კანდიდატი გამოცხადებულა, მაგრამ კომისიას ვერც ერთი ვერ უცვნია ღირსად ამ თანამდებობაზედ. ერთ გაზეთს ამის გამო გაუჩხრეკია საქმე და აღმოუჩენია, რომ კონკურსი პირველად ამ თანამდებობაზედ 9 წლის წინად გამოუცხადებიათ, ე. ი. ამ ცხრა წლის განმავლობაში სასწავლებელს მასწავლებელი არა ჰყოლია. ეს კიდევ არაფერია. ერთს ობსერვატორიაში თავისუფალი ადგილი ყოფილა. 11 წლის წინად გამოუცხადებიათ ამის შესახებ და რამდენიმე კანდიდატიც გამოცხადებულა, მაგრამ განსაკუთრებულ ამისთვის დანიშნული კომისია ვერ შეკრებილა და ვერ გადაუწყვეტია საქმე. თერთმეტი წელიწადი გავიდა და მხოლოდ ეხლა გამოაცხადეს ხელ-მეორედ კონკურსი. წინანდელი კანდიდატნი სუყველანი გარდაცვლილან.

* * *

ამერიკაში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად ქ-ნ სტეივეზანტ ფიშის მიერ გამართულ ბალზედ. ამ მანდილოსანმა სულ 112 სტუმარი მიიწვია. მისაწვევ ბარათებში ჩასწერა, რომ სტუმარნი გლეხის ტანისამოსში გამოწყობილნი უნდა მოვიდნენ და თან სოფლის რამე ნაწარმოები მოიტანონო. დანიშნულ საღამოს „გლეხები“ მართლა მისულან. ზოგს ხელში იხვი ეჭირა, ზოგს ქათამი, ზოგს ინდოური, ზოგსაც ბატკანი მიჰყავდა თურმე თოკით.

მეორე ამერიკელს კიდევ, სახელდობრ, ნიუ-იორკის ქალაქის მოურავს, ამას წინად ნადიმი გაუმართავს 40 მეგობრისათვის. ეს ნადიმი მოურავს 140,000 მანეთად დასჯდომია, ამდენივე დასჯდომია უბრალო ნადიმი მილიონერის ვანდერბილტის შვილს. ასე ატარებენ ამერიკელი მდიდრები დროს.

ამას წინად ერთის ინდოელთა ტომის (ამერიკაში) წინამძღოლის ქალმა მდიდარი მემკვიდრეობა მიიღო: ამერიკელმა მილიონერმა ჯონ-დილლონმა ამ ველურს ქალს 10 მილიონი მანეთი დაუტოვა. შვიდის წლის წინად, როდესაც დილლონი რიოგრანდეში სცხოვრობდა, ერთმა მოსამსახურემ, ინდოელმა, იმისი მოკვლა განიზრახა. ზემოხსენებულმა ქალმა, რომელიც მაშინ 10 წლისა იყო, ეს ამბავი დილლონს შეატყობინა და მილიონერი სიკვდილს გადარჩა. დილონი ღამე აღარ დაწვა. თვით ოთახში დაიმალა და ლოგინი-კი ისე მოაწყო, რომ კაცს ეგონებოდა შიგ წევს ვინმეო. როდესაც ღამე მოსამსახურე დანით ხელში შევიდა, დილონმა რევოლვერი ესროლა და მოჰკლა. მადლობის ნიშნად მილიონერმა ახალგაზდა ქალი იშვილა და მაშინვე მონტერეის ეპისკოპოსს მიაბარა აღსაზრდელად; ეხლა-კი 10 მილიონი მანეთი უანდერძა. ამ ჟამად ქალი 17 წლისაა. ამბობენ, ბევრი მთხოვნელი ამოუჩნდა ამ ქალსაო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ოქტომბერი.

პეტერბურგი. მატარებლებმა რიგზედ დაიწყეს სიარული რკინის გზაზედ ტიან-ძინიდგან შანჰაი-გუანამდე 20 სექტემბრიდგან, ხოლო ძინ ჯუფამდე—27 სექტემბრიდგან.

მადრიდი. ასკარრაგამ განაცხადა, რომ მე წინანდელ საგარეო პოლიტიკას განვაგრძობო. ესპანიის საელჩო პეკინში გაუქმებულ იქმნა.

შანჰაი. როგორც ისმის, გერმანელებს აზრადა აქვთ ამ ცოტა ხანში იანძეს მიდამოებისაკენ წავიდნენ სალაშქროდ.

მოსკოვი. ბრიანსკის გზაზედ სადგურ დმიტროვიდგან გასული საქონლის მატარებელი დაეჯახა გუშინ სადგურ ბელიციდგან გასულ ორ ვაგონს. 12 ვაგონი დაინტვრა. მოკვდა ობერ-კონდუქტორი, მაშინისტის თანაშემწე დაშავდა; ამ ადგილას მატარებელი აღარ დადის და მგზავრებს ფეხით უხდებათ გადასვლა.

დონის როსტოვი. ამ წუთს ამბავი მოვიდა, რომ ტავრიდის ბერდიანსკში დღეს გათენებისას ღელვის დროს ზღვის ტალღებმა წალეკეს ნაპირის მახლობლად მდებარე ნაწილი ქალაქისა, დააქციეს რამდენიმე სახლი, ნავთ სადგური და რკინის გზა ხაზინასა და მცხოვრებთ დიდი ზარალი მოუვიდათ. ექვსი კაცი დაიღუპა.

ლონდონი. იანსუდგან იუწყებიან 5 ოქტომბერს, რომ პაოტინფუს ექსპედიცია 3 ოქტომბერს ბუჩენდიანთან დაბანაკდა; აქ მოუვიდათ ცნობა, რომ საიმპერატორო ჯარის 2000 კაცი ჩრდილო-დასავლეთისაკენ უკუმიიქცაო, რადგანაც მოკავშირე ჯარები ამ მხრიდგან მიდიოდნენო. ექსპედიცია 4 ოქტომბერს ისევ გზას შეუდგა და იანუ დაიპყრო. ანუდგან 7 მილის მოშორებით გერმანელ ჯარის-კაცთ საიმპერატორო ჯარმა დღეს სროლა დაუწყო; გერმანელებმა ჩინელებზედ იერიში მიიტანეს, ცხარე ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს და გააქციეს. დავლად დარჩათ ორი ზარბაზანი, მრავალი სხვა-და-სხვა იარაღი და ოთხი ბაირაღი. როგორც ფიქრობენ, მტრის წინააღმდეგ მოქმედებას მალე დაიწყებენ და სამოქმედო ადგილად ამოირჩევენ პასტინფუსო.

პეკინი. ცინმაძლიხუნგჩანგმა აცნობეს მისიებს ედიქტები, რომლითაც გარდაწყვეტილია არეულობის პასუხის მცემელი პრინცები დ მინისტრები და ნაშაულისა მიხედვით დასჯილ იქმნენ. იმპერატორი აღიარებს, რომ ტუნფუსიანს მართლა დიდი დანაშაულობანი ჩაუდენია და ავალებს ცინსა და ლიხუნგჩანგს, რომ მათ ტუნფუსიანისა და დამნაშავე პრინცებისათვის ღირსეული სასჯელი გამოსძებნონ, ისეთი სასჯელი, როგორსაც ევროპიელები თხოულობენ. კომმისსარები ამბობენ, რომ იმპერატორმა უკვე დაუყოვნებლივ დასაჯა რამდენიმე პრინციო; იგინი ირწმუნებიან, რომ კანიი ავადმყოფობისა გამო გარდაიცვალა და რომ ტუანი და ჩჟუანი სასახლეში არ იმყოფებიან. ეს ცნობები ევროპიის მისსიებს არ აკმაყოფილებს.

14 ოქტომბერი

პეტერბურგი. 13 ოქტომბერს პეტერბურგიდგან ბალტიის რკინის გზის მე-4 ვერსზედ ორი სამგზავრო მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. სამი ვაგონი და ერთი ლოკომოტივი დაიმტვრა. მძიმედ დაჭრილია სამი მგზავრი და სუბუქად ხუთი.

კაპშტადტი. ბურებმა იაკობსდალი დაიჭირეს. იაკობსდალში 52 ახალშენთა ჯარის კაცი იყო და მედგრად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ძლეულ იქმნენ და 34 კაცი მოუკვდა.

ვაშინგტონი. აქ მყოფმა ჩინეთის ელჩმა დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ კანიი ავადმყოფობისა გამო მომკვდარა. შანსის გუბერნატორმა თავი მოიკლა.

პეკინი. 7 ოქტომბერს 12 იტალიელი საზღვაო ჯარის-კაცი სურსათით მატოუსთან „დიდს მუშტს“ შეჰხვდა, რომელიც უკუ-აქციეს. „დიდს მუშტს“ რამდენიმე კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

ლონდონი. გეიდელბერგსა და გრეილინსშტადტს შუა 25 სექტემბერს ლუი ბოტამ მცირე რაზმით რკინის გზის მატარებელს, რომელშიაც მსროლელ ბრიგადის დამზვერი ჯარი იყო, გზა შეუკრა. ორი ინგლისელი ოფიცერი და ერთი ნაწილი ჯარის-კაცებისა დახოცილ იქმნა; დანარჩენი რაზმი ბოლოს მთლად მტერს დაჰნებდა.

მასერუ. პრეზიდენტი შტეინი ფურიესბურგშია; შტეინმა ეს ქალაქი ორანჟეს რესპუბლიკის უმთავრეს ქალაქად გამოაცხადა.

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

17 ოქტომბერს:

ვლადიმერ ახალშენიშვილისა, რომელსაც მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ლუკა ტაბატაძისა—ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ივანე, გიორგი და რაჟდენ ჩიგოშვილებისა—ქურდობის ჩადენა ბრალდებათ.

ანნა თაედგირიძისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება.

19 ოქტომბერს:

ვარლამ ლოლუასი, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება.

ილარიონ გოგიაძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ამილბარ თომაშვილისა—სააქციზო წესის დარღვევა ბრალდება.

ნიკოლოზ მგელაძისა, რომელსაც განზრახ თავის სახლის დაწვა ბრალდება.

გიორგი მდივნისა, ლიდია მაჭავარიანისა, ალექსანდრე კიკნაძისა და მალაქია და ივანე ჭანტურიძეებისა, რომელთაც სიყალბის ჩადენა ბრალდებათ.

24 ოქტომბერს:

ირაკლი მგელაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-165 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.

განცხადებანი

გამოვიდა დ ისყიდება მმ. თავართქილაძეების ახლად გამოცემული

ფასი **ჩანგი** მანეთი

ამ უკანასკნელ გამოცემაში ჩამატებულია ლექსები, სცენები და შემდეგი დრამატიული თხზულებანი: 1) „დედა და შვილი“, ი. ჭავჭავაძისა; 2) „დაძმა“, ვ. გუნიასი; 3) „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდენ“. 4) „დაკეტილ კარებთან“. 5) „ავაზაკები“, შილლერისა და „შეშლილის წერილები“, გოგოლიდამ.

აგრეთვე მივიღეთ ყველა ჩვენ მაღაზიებში დიდძალი ყოველგვარი

რვეულები

საუკეთესო ღირსებისა და განსხვავებული ფერის (თვალისთვის დიდად სასარგებლო) ქაღალდებზედ დახაზული და მიუხედავად ქაღალდის გაძვირებისა და მისის ღირსებისა, ჩვენ ვყიდით 100 ცალს თავისის საშრობი ქაღალდით, მხოლოდ 2 მან. 50 კაპ.

მსურველთ ნიმუშები გაეგზავნებათ უფასოდ. (10—6.—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე